

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14

2017 წლის 1 მაისი

დაბა ჩხოროწყუ

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაბა ჩხოროწყუს ტერიტორიაზე ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასებით დაბინძურების რეგულირების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაბა ჩხოროწყუს ტერიტორიაზე ძაღლის ან სხვა შინაური ცხოველის მცირე ოდენობის ფეკალური მასებით დაბინძურების რეგულირების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 3 აგვისტოს №27 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/08/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.107.016185) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის დაბა ჩხოროწყუში იმ დასახლებული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ, სადაც ვრცელდება საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბესიკ ესებუა

